საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მთიულეთის არაგვი

მთიულეთის არაგვი, თ ე თ რ ი ა რ ა გ ვ ი, მდინარე დუშეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში. სათავეს იღებს ზ. დ. 3180 *მ*-ზე, ყელის ვულკანური ზეგნის ჩრდ.-აღმ. ნაწილში, ლაგათისარისა და ხორისარის მასივებს შორის, ზედაიურულ კარბონატულ წყებასთან დაკავშირებული ვოკლუზური წყაროს სახით. მდინარის სათავესთან, დიდ მეფისკალოსა და ხორისარს შორის ვრცელი მყინვარული ცირკია. ხეობაში გვხვდება ჩქერები და ჩანჩქერები. მდინარის სიგრძეა 41 *კმ*. საზრდოობს მიწისქვეშა, თოვლის ნადნობი და მყინვარული (უმნიშვნელოდ) წყლებით. წყალდიდობა იცის აპრილიდან აგვისტომდე, წყალმცირობა - ზამთარში. დეკემბრის მეორე ნახ-იდან თებერვლის ბოლომდე იცის ყინულნაპირისი, თოში და ძგიფი. წყალმცირობისას წყალი სუფთაა და სასმელად ვარგისი. სოფ. ფასანაურამდე მდინარეს ზოგადად სამხრ.- აღმ. მიმართულება აქვს და ეს მონაკვეთი თეთრი არაგვის სახელს ატარებს, ვინაიდან შავ, ანუ გუდამაყრის არაგვთან შეერთების ადგილას მის წყალს მოთეთრო ფერი დაჰკრავს.

ი. აფხაზავა